



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც  
ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები,  
პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო  
საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის კომენტარები

---

კახაბერ ერაძე



# შინაარსი

<b>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის კომენტარები .....</b>	<b>3</b>
<b>მუხლი 1. რეგულირების სფერო.....</b>	<b>3</b>
<b>მუხლი 2. ტერმინთა განმარტება.....</b>	<b>5</b>
<b>მუხლი 3. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები.....</b>	<b>8</b>
<b>მუხლი 4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება .....</b>	<b>10</b>
<b>მუხლი 5. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება.....</b>	<b>14</b>
<b>მუხლი 6. დადასტურების კომისია.....</b>	<b>16</b>
<b>მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება.....</b>	<b>17</b>
<b>მუხლი 8. გარდამავალი დებულებები .....</b>	<b>18</b>

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის კომენტარები**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი (შემდგომში - წესი) აღგენს იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების პროცედურას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.*

**კომენტარი:** წესის დამტკიცების სამართლებრივი საფუძველია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესს, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

წესის პირველი მუხლი ხაზს უსვამს, რომ ამ წესით დადგენილია დადასტურების პროცედურა, რაც ვერ იქნებოდა კანონით დადგენილი.

2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 170/ნ ბრძანებით დამტკიცდა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები. აღნიშნული წესით განისაზღვრა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზნები და ინტეგრირების მიდგომა. ამავ ბრძანებით დადგინდა იმ მოდულების შინაარსი, რომელთა ინტეგრირებაც განხორციელდა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

ინტეგრირება მიზნად ისახავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას, რაც გამოიხატება საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად, სრული ზოგადი განათლების მიწოდებით. აღსანიშნავია, რომ 2007 წლიდან 2020 წლამდე, აღნიშნული შესაძლებლობა განათლების სისტემაში არ არსებობდა. 2007 წელს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისგან გამიჯნა ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტი, რამაც წარმოქმნა ე.წ. „საგანმანათლებლო ჩიხი“, რომლის დაძლევაც დღეს განათლების პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად პროფესიული განათლების ახალ კანონში გათვალისწინებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის (10-12 კლასი) სწავლის შედეგების ინტეგრირება. ამ ტიპის პროგრამის

გავლა სრულდება დიპლომის გაცემით, რომელიც სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის უთანაბრდება სრული ზოგადი განათლების ატესტატს.

წესის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. კონკრეტულად, ინტეგრირებული მოდულები მიზნად ისახავს რა სტუდენტი გაიყვანონ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებზე, პროგრამის დარგობრივ ნაწილთან ერთად ის უნდა განვიხილოთ როგორც სასკოლო პროგრამის დაძლევის ალტერნატიული გზა. ამიტომაც შეფასების სისტემა ინტეგრირებული მოდულების ნაწილში ეფუძნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით (ე.წ. ახალი სკოლის მოდელი) გათვალისწინებული შეფასების პრინციპებს, რაც ერთგვარად განსხვავდება პროფესიულ განათლებაში უკვე დანერგილი, კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასების პრინციპებისაგან, სადაც შესაძლებელია, საბოლოო შეფასების გზით მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება.

კონკრეტულად, ამ ორ მექანიზმს შორის მსგავსება გახლავთ ორიენტირება სწავლის შედეგებზე (კომპეტენციებზე). შეფასების ობიექტია არა სასწავლო პროცესი, არამედ სწავლის შედეგი. განმასხვავებელი კი არის მიდგომა, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ შექმნილი მტკიცებულებები და განმავითარებელი შეფასების შედეგები შეგროვებული უნდა იქნას, რათა თვალსაჩინო იყოს სტუდენტის პროგრესი (ამით კონცეპტუალურად ძალიან ჰგავს დუალური სწავლების პროცესში სტუდენტის მიერ ჩანაწერების ჟურნალის წარმოებას). ამასთან, განსხვავებით დარგობრივ ნაწილში გამოყენებული შეფასებისა, შეუძლებელია მხოლოდ შემაჯამებელი შეფასების (საბოლოო გამოცდის ჩატარების) გზით სწავლის შედეგის დადასტურება. შემაჯამებელი შეფასება თავისი არსით არ წარმოადგენს ტრადიციულ „საგამოცდო“ პროცესს, არამედ ის სწავლის პერიოდში შექმნილი მტკიცებულებების გამოყენებით სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებაა. ამით ის ჰგავს პროექტულ სწავლებას, რომელიც ზოგიერთ დარგობრივ მოდულში წარმატებით გამოიყენება.

კიდევ ერთი გარემოება, რაც მხედველობაში იქნა მიღებული, გახლავთ ის, რომ ცალკეული მოდულების ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევა, რაც მოდულის განმახორციელებლის მიერ დასტურდება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას, სანამ ყველა ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების მტკიცებულებები კომისიური წესით არ იქნება შესწავლილი და არ გაივლის ვერიფიკაციას. ეს ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგები არაფერს წარმოადგენს და სერტიფიკატიც კი არ გაიცემა მისი დაძლევის შემდეგ. ინტეგრირებული მოდულები ერთიანად, ჰოლისტიურად უნდა იქნას განხილულნი. ისევე, როგორც ინტეგრირებული მოდულების ბლოკი, ცალკე არ წარმოადგენს რაიმე ღირებულს პროგრამის დარგობრივი ნაწილის გარეშე და სულაც არ ადასტურებს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევას.

ის ფაქტი, რომ ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურება ამ წესით ხდება, ეს გამორიცხავს ინტეგრირებული მოდულების ნაწილში არაფორმალური განათლების აღიარების შესაძლებლობას, რადგანაც ერთჯერადი გამოცდის ორგანიზების გზით ვერ მოხდება დადასტურებისათვის საჭირო პორტფოლიოს შექმნა. ამასთან მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ შესაძლებელი იქნება ფორმალური განათლების აღიარების ფარგლებში ყველა ინტეგრირებული მოდულისა ერთად, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. თუმცა სკოლის ცალკეულ კლასში ნასწავლი ვერ იქნება აღიარებული (მაგალითად, ცალკე აღებული მე-10 კლასის შედეგები ვერ აღიარდება ინტეგრირებული მოდულების მიზნებისათვის), რადგანაც ინტეგრირებული მოდულები სწავლის შედეგებს კლასების მიხედვით არ მიჯნავს, არამედ საშუალო საფეხურის განზოგადებულ სწავლის შედეგებზეა არის და სტრუქტურულად არც მოდულები წარმოადგენს სკოლის საგნების ანალოგებს.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

**1. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობა.**

**2. ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:**

**ა) ინტეგრირებული ზოგადი მოდულები - „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ინტეგრირებული ზოგადი მოდულები;**

**ბ) პროფესიული სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო (შემდგომში პორტფოლიო) - პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსურ დავალებებსა და სასწავლო თემების მიხედვით. პორტფოლიოში პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ სამი წლის განმავლობაში;**

**კომენტარი:** ელექტრონული პორტფოლიო თავისი არსით ტრადიციული საქაღალდის („სტუდენტის საქმე“) ელექტრონული ვერსიაა. მისი არსებობა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სანდოობის კრიტერიუმთან შესაბამისობას და დაწესებულებას აძლევს მტკიცებულებათა მოწესრიგებული სახით ორგანიზების შესაძლებლობას. ის ასევე უზრუნველყოფს შესაბამისობას მე-2, პროგრამული სტანდარტის 2.4. კომპონენტის, 2.4.2 კრიტერიუმის მე-3 ინდიკატორთან, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის სანდო აღრიცხვას. პორტფოლიო, ასევე, კომისიის მიერ საბოლოო დადასტურების შესახებ ოქმის გამოცემიდან მინიმუმ 3 წლის ვადით უნდა ინახებოდეს, რასაც ავტორიზაციის იგივე კრიტერიუმი ითხოვს (ამ შემთხვევაში კომისიის საოქმო გადაწყვეტილება უწყისის გაფორმებას უთანაბრდება, ამიტომაც ოქმი უვადოდ უნდა იქნეს შენახული). განმარტება ასევე იძლევა მითითებას, რომ პორტფოლიოში უნდა იყოს ორგანიზების რამდენიმე დონე: სტუდენტის პორტფოლიო უნდა იყოფოდეს მოდულებად, მოდულები კომპლექსურ დავალებებად და კომპლექსური დავალებები - სასწავლო თემებად. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

**გ) კომპლექსური დავალება - შემოქმედებითი პროდუქტი, რომლის საშუალებითაც წარმოჩინდება პროფესიული სტუდენტის მიღწევები ინტეგრირებული ზოგადი მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებით.**

**კომენტარი:** განმარტების თანახმად, კომპლექსური დავალება არის შემოქმედებითი პროდუქტი (მაგალითად, კომიქსი, მოთხრობა, ვიდეორგოლი, პლაკატი და სხვა), რომელსაც ქმნის სტუდენტი და რომლის საშუალებითაც ადასტურებს, თუ რა დონეზე მიაღწია სწავლის შედეგებს (მაგალითად, ადასტურებს, თუ როგორ გაიგო ტექსტის შინაარსი, ამა თუ იმ ბუნებრივი მოვლენის

არსი და სხვა). ანუ ეს არის მტკიცებულება, რომელიც განთავსდება ელექტრონულ პორტფოლიოში.

ცოდნა-გაცნობიერების შეფასების მიზნით გამოყენებული სხვა ტრადიციული ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით (მაგალითად, არჩევითპასუხიანი ტესტებისგან), კომპლექსური დავალების პირობა იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ სტუდენტისაგან მოითხოვს ცოდნის რეალურ ცხოვრებასა და სხვა საგნობრივ საკითხებთან დაკავშირებას (მაგალითად, არ არის საკმარისი სტუდენტმა ზოგადი დებულებები ჩამოაყალიბოს ტოლერანტობასთან დაკავშირებით; საჭიროა, რომ მან ყოველდღიურ ცხოვრებაში ტოლერანტობის მაგალითი/მაგალითები აღმოაჩინოს და ის აუდიტორიის წინაშე კომპლექსური დავალების საშუალებით წარმოადგინოს და გააანალიზოს). კომპლექსური დავალების გამოყენება სწავლება-შეფასების პროცესში ხელს უწყობს არა მხოლოდ **ფაქტობრივი ცოდნის**, არამედ **გაცნობიერების**, როგორც კომპეტენციის გამომუშავებას და შეფასებას.

ამ გზით ის პროფესიულ განათლებაში კარგად აპრობირებული პროექტული სწავლების ელემენტს წარმოადგენს (მაგალითად მეწარმეობის პროექტი), თუმცა მისგან განსხვავებით, თავისი მასშტაბებით ერთი კომპლექსური დავალება არაა აუცილებელი ყველა სწავლის შედეგს ერთდროულად მიემართებოდეს.


ერთი თემის ფარგლებში რამდენიმე კომპლექსური დავალება მუშავდება და კონკრეტულ, წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს მიემართება.

კომპლექსური დავალება სწავლის შედეგისაკენ მიმავალი **შუალედური მიზნის** როლს ასრულებს, რომელზე მუშაობასაც რამდენიმე საკონტაქტო საათი ეძღვნება. სწავლა-სწავლების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა სვლა ერთი კომპლექსური დავალებიდან მეორისკენ, მეორიდან - მესამისკენ, მესამიდან - მეოთხისკენ და ჯამში - სწავლის შედეგისკენ.

კომპლექსური დავალება ინდივიდუალურადაც შეიძლება შესრულდეს, წყვილებშიც და ჯგუფურადაც; მასზე მუშაობა აუდიტორიაშიც შეიძლება მიმდინარეობდეს და - დამოუკიდებლადაც, თუმცა, დასრულებული ნაშრომის პრეზენტაცია ყველა სტუდენტმა ინდივიდუალურად უნდა განახორციელოს და ის თითოეული თანაშემსრულებლის პორტფოლიოში უნდა მოხვდეს. ამიტომ ის ყველა სტუდენტმა უნდა შეასრულოს, თუმცა შესაძლოა სპეციალური საჭიროების ან ინტერესების გათვალისწინებით დავალების ადაპტირება, თუმცა ეს უნდა გამორიცხავდეს რომელიმე სტუდენტის პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენებას. ადაპტირებული დავალება იმავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რასაც ძირითადი (არაადაპტირებული) დავალება.

**დ) თემა - ინტეგრირებული ზოგადი მოდულის შემადგენელი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც, კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება სწავლის ყველა შედეგზე მუშაობა**

**კომენტარი:** მოდულით განსაზღვრული თემატური არეალის ფარგლებში მასწავლებელი განსაზღვრავს კონკრეტულ თემებს. თემა ის კონტექსტია, რომლის გათვალისწინებითაც შემუშავდება კომპლექსური დავალებები, რომელიც თავის მხრივ სწავლის შედეგებს მიემართება.



**ე) ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია - შეფასების ჰოლისტური რუბრიკა, რომლის საშუალებითაც ხდება პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება.**

**კომენტარი:** აღნიშნული ტაქსონომია სპეციალისტთა ფართო წრეებში ცნობილია როგორც SOLO (structure of observed learning outcomes) ტაქსონომია. ის მოიცავს შეფასების ხუთ დონეს:

<p><b>1: პრესტრუქტურული დონე</b></p> <p>პროფესიულ სტუდენტს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს.</p>
<p><b>2: უნისტრუქტურული დონე</b></p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, ამკარა/ცხადი კავშირების დამყარება.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა.</p>
<p><b>3: მულტისტრუქტურული დონე</b></p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება, სხვ.</p>
<p><b>4: მიმართებითი დონე</b></p> <p>პროფესიულ სტუდენტს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ერგება/შეესაბამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, პროფესიულ სტუდენტს აქვს</p>

იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გაანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზშედეგობრიობის კუთხით.

**5: აბსტრაქტული დონე**

პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვიდან, იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკული გაანალიზება ან თეორიის ჩამოყალიბება.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწავლის შედეგის დადასტურების აუცილებელი პირობაა მასთან დაკავშირებული მინიმუმ ერთი კომპლექსური დავალების შესრულება მეოთხე (მიმართებით) ან მეხუთე (აბსტრაქტულ) დონეზე. ამრიგად, სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომია ის საზომია, რომელიც გვებმარება სტუდენტის მიღწევების შეფასებაში.

**3) ვერიფიკაცია - დადასტურების კომისიის მიერ ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შესაბამისობის შემოწმება ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.**

ვერიფიკაცია არ წარმოადგენს ახალ ტერმინს პროფესიული განათლებისათვის. ის პროფესიული სტუდენტის შეფასების ნაწილი გახდა. ვერიფიკაციის გზით ვერიფიკატორი (ამ შემთხვევაში კი დადასტურების კომისია) უნდა დარწმუნდეს, რომ შეფასების გამოყენებული სისტემა შესაბამისობაშია შეფასების სისტემის მიმართ ამ წესით დადგენილ მახასიათებლებთან, რომლებზეც შემდეგ მუხლშია საუბარი. ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია და განმარტებები შესაბამის გზამკვლევაშია მოცემული.

**მუხლი 3. დადასტურების მიზანი და შეფასების სისტემის მახასიათებლები**

**1. დადასტურება გულისხმობს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ფორმალურ დამოწმებას.**

**კომენტარი:** ეს პუნქტი განმარტავს დადასტურების არსს. მე-4 მუხლის მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება მოდულის განმახორციელებელი პირის (შემფასებლის) მიერ, თუმცა იმისათვის, რომ საფეხურის სწავლის შედეგები საბოლოოდ მიღწეულად ჩაითვალოს, მასწავლებლის მიერ ცალკეული მოდულების ფარგლებში დადებითად შეფასებული სწავლის შედეგები დამატებით ექვემდებარება ერთიან, ჰოლისტურ ფორმალურ დამოწმებას, კომისიური წესით, ამავე წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

**2. ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა უნდა იყოს:**

- ა) ვალიდური;
- ბ) სანდო;
- გ) გამჭვირვალე.
- დ) სამართლიანი;
- ე) ობიექტური.

**კომენტარი:** წინამდებარე პუნქტი აღგენს მახასიათებლებს შეფასების სისტემის მიმართ. შეფასების სისტემის ეს მახასიათებლები ასევე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მე-2, პროგრამული სტანდარტის 2.4. კომპონენტის, 2.4.2 კრიტერიუმის პირველი ინდიკატორითაა მოთხოვნილი: პროგრამის მიზნებისთვის



გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;

ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ საუბარია შეფასების სისტემაზე.

შეფასების სისტემა სამ ელემენტს აერთიანებს: ესაა შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულება. შესაბამისად, აღნიშნული ხუთი მახასიათებელი შეფასების სისტემის ერთ ან რამდენიმე ელემენტს მიემატება.

განვიხილოთ თითოეული მახასიათებელი ინტეგრირებული მოდულების კონტექსტში:

ა) შეფასების სისტემა **ვალიდურია**, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი ვარგისია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რომელიც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

შესაბამისად, რადგანაც ინტეგრირებულ მოდულებში, შეფასების მიზნებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებებია, სისტემის ვალიდურობა სწორედ კომპლექსური დავალებების ადეკვატურობას გულისხმობს.

ბ) შეფასების სისტემა **სანდოა**, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.

სანდოობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტუდენტის ელექტრონულ პორტფოლიოში განთავსებული მასალებით, რომელთა შინაარსი და ხარისხი გაკეთებული შეფასების მიმართ ნდობას უნდა უზრუნველყოფდეს.

გ) შეფასების სისტემა **გამჭვირვალეა**, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

დ) შეფასების სისტემა **სამართლიანია**, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.

ე) შეფასების სისტემა **ობიექტურია**, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (პორტფოლიოს შინაარსის, შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

## პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ხუთი მახასიათებელი

**1 ვალიდურობა**  
შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი ვარჯისია იმ სწავლის შედეგების დადასტურებისთვის, რომლებიც დასდება, ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.  
შეფასების ობიექტია: შეფასების ინსტრუმენტი რომელიც ფასდება როგორც შინაარსობრივი, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

**2 სანდოობა**  
განხორციელებული შეფასების შედეგები გამაყარებელია სათანადო მტკიცებულებებით.  
შეფასების ობიექტია: შეფასების მტკიცებულება, რომელიც ფასდება როგორც შინაარსობრივი, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

**3 გამჭვირვალობა**  
შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შედეგებზე სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.  
შეფასების ობიექტია: შეფასების პროცედურა, ანუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება შეფასების შესახებ ინფორმაციის მინიჭება შესაფასებელი პირებისათვის.

**4 სამართლიანობა**  
შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღებული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღზარდილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა კრიტერიუმში იქნა ჩაყენებული.  
შეფასების ობიექტია: შეფასების პროცედურა (ინსტრუმენტის აღწერილობითი ნაწილი და შეფასების გარემო)

**5 ობიექტურობა**  
ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.  
შეფასების ობიექტია: შეფასების მტკიცებულებები, რომელიც ფასდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და უწყისები.

### მუხლი 4. ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება

**1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება) უზრუნველყოფს თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროგრესის შეფასებას.**

**კომენტარი:** წინამდებარე მუხლი არეგულირებს კონკრეტული მოდულის ფარგლებში მოდულის განმახორციელებლის ან სხვა პირის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას (გავიხსენოთ, რომ კრებსითად, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხდება შემდეგი მუხლების მიხედვით, კომისიურად).

პირველი პუნქტი განსაზღვრავს დაწესებულების ვალდებულებას უზრუნველყოს სტუდენტის პროგრესის შეფასება თითოეული მოდულის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ შეფასების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია დაწესებულება. ამასთან, საუბარია პროგრესის შეფასებაზე, რისთვისაც ელექტრონული პორტფოლიო უნდა იქნეს გამოყენებული.

**2. შეფასება არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი. ამასთან, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში გამოიყენება არადიფერენცირებული განმსაზღვრელი შეფასება.**

**კომენტარი:** განმავითარებელი შეფასება სწავლება-სწავლის პროცესის შემადგენელი ნაწილია. ის კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში მასწავლებლის მიერ მიცემული

უკუკავშირის სახითაა წარმოდგენილი. თითოეული კომპლექსური დავალების შეფასება თავისი ფუნქციით **განმავითარებელია**. შესაძლებელია მასწავლებელმა კომპლექსური დავალებებიდან ერთს ან რამდენიმეს შემაჯამებელი, **განმსაზღვრელი** ფუნქცია მიანიჭოს. ეს ის დავალებაა, სადაც არსებობს მოლოდინი, რომ სტუდენტი სწავლის შედეგის მიღწევას მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე დაადასტურებს. ანუ შემაჯამებელი შეფასების ინსტრუმენტი კომპლექსური დავალებაა, ხოლო განხორციელებული შეფასება - განმსაზღვრელი.

განმსაზღვრელი შეფასება როგორც ზოგადად, პროფესიულ განათლებაში, **არადიფერენცირებულია**. ანუ შეფასების შემდეგ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება არის „სწავლის შედეგი დადასტურებულია“ ან „სწავლის შედეგი არაა დადასტურებული“.

**3. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის მიღწევას ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგებთან მიმართებაში.**

**კომენტარი:** როგორც უკვე აღინიშნა, განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება შემაჯამებელი ფუნქციის მქონე კომპლექსური დავალების საშუალებით და მისი მიზანია დაადასტუროს სწავლის შედეგის მიღწევა, განსხვავებით განმავითარებელი შეფასებისაგან, რომელიც სწავლის შედეგის მიღწევის გზაზე სტუდენტის პროგრესს ზომავს.

**4. განმავითარებელი შეფასება ადგენს პროფესიული სტუდენტის განვითარების დინამიკას, მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და გამოიყენება პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისათვის.**

**კომენტარი:** განმსაზღვრელისაგან განსხვავებით, განმავითარებელი შეფასების ფუნქცია სტუდენტის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება და უკუკავშირის მიცემაა, რაც სწავლის შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად. ეს უკუკავშირი იმავდროულად საშუალებაა გათვალისწინებული იქნეს სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის დაწესებულების მიერ გასაწევი დამატებითი ძალისხმევა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, განმავითარებელი შეფასებაც კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში ხორციელდება.

**5. პროფესიული სტუდენტი ფასდება შეფასების ტაქსონომიის გამოყენებით თითოეული თემის კონტექსტში და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.**

**კომენტარი:** თითოეული პროფესიული სტუდენტი თითოეული თემის კონტექსტში, ფასდება ინდივიდუალურად, შეფასების ტაქსონომიით განსაზღვრული დონეების გამოყენებით. მის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტი წარმოადგენს მტკიცებულებას თუ რატომ შეფასდა სტუდენტი ტაქსონომიის ამა თუ იმ დონესთან შესაბამისობაში.

**6. ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი ერთსა და იმავე სწავლის შედეგთან მიმართებით რამდენიმე კომპლექსურ დავალებას ასრულებს. თითოეული თემის ფარგლებში, სავალდებულოა ყველა სწავლის შედეგზე მუშაობა (კომპლექსური დავალებების საშუალებით).**

**კომენტარი:** როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის გზით სტუდენტი ეტაპობრივად მიიწევს სწავლის შედეგის მიღწევასაკენ. ეს ეტაპები შეფასების ტაქსონომიით ფასდება. შესაბამისად, ლოგიკურია, საჭირო გახდება რამდენიმე კომპლექსური დავალების შესრულება, სანამ სტუდენტი სწავლის შედეგთან მიმართებით ტაქსონომიის მეოთხე ან მეხუთე დონეზე შეფასდება. არ არსებობს ცალსახა პასუხი, თუ რამდენი კომპლექსური დავალების შესრულებაა აუცილებელი სწავლის შედეგთან მიმართებით. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: სტუდენტის საწყის დონეზე, მასწავლებლის ოსტატობაზე, რესურსებზე, სწავლების ფორმაზე, მეთოდებზე და სხვა. კომპლექსური დავალება იმდენჯერ უნდა შესრულდეს, სანამ ყველა სწავლის შედეგთან მიმართებით სტუდენტი ტაქსონომიის მეოთხე ან მეხუთე დონეზე არ შეფასდება, რაც ელექტრონულ პორტფოლიოში არსებული მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს.

კომპლექსური დავალება კონკრეტული თემის კონტექსტში სრულდება, ხოლო კომპლექსური დავალება სწავლის შედეგებს მიემართება. შესაბამისად, გამოდის, რომ კომპლექსური დავალების მეშვეობით, თითოეული თემის კონტექსტში ყველა სწავლის შედეგზე უნდა განხორციელდეს მუშაობა.

**7. შეფასებისას, სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალების გამოყენება. დასაშვებია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთი კომპლექსური დავალებით შეფასება.**

**კომენტარი:** კომპლექსური დავალება სწორედ იმიტომაც კომპლექსური, რომ ის რამდენიმე სწავლის შედეგს მიემართება. ერთი კომპლექსური დავალებით, კონკრეტული თემის კონტექსტში რამდენიმე სწავლის შედეგზე ხდება მუშაობა. შესაბამისად, კომპლექსური დავალება, როგორც შეფასების ინსტრუმენტი, ერთდროულად რამდენიმე სწავლის შედეგის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა. წინამდებარე პუნქტი ხაზს უსვამს პროფესიულ განათლებაში შეფასებისადმი ჰოლისტური მიდგომის მნიშვნელობას. არაა მისასალმებელი სწავლის შედეგების დაფრაგმენტება სწავლება-შეფასების პროცესში. რამდენიმე სწავლის შედეგზე ერთდროული მუშაობა და მათი ერთდროული შეფასება იძლევა მოდულის ერთიანობაში აღქმის საშუალებას. ამასთან, ხელს უწყობს სტუდენტის კომპეტენციების ტაქსონომიის მეოთხე და მეხუთე დონეებზე მიღწევას, რაც ასპექტებს შორის კავშირის გააზრებას და განზოგადებას გულისხმობს. როგორც აღინიშნა, სწავლის შედეგები მიღწევაზე მუშაობა კომპლექსური დავალებების საშუალებით ხდება. კომპლექსური დავალებითვე ხდება მათი მიღწევის შეფასება.

**8 კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკა ეფუძნება ინტეგრირებული ზოგადი მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ტაქსონომიას.**

ტექსონომიასთან დაკავშირებით, განმარტებები და კომენტარი იხილეთ ტერმინთან განმარტების ნაწილში.

**9. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პორტფოლიოს სრულფასოვნად შევსებისათვის აუცილებელი აქტივობების განხორციელება.**

**კომენტარი:** კომპლექსური დავალებების შესრულება სტუდენტის ვალდებულებაა. სწავლა-სწავლების მთელი პროცესი წარმოადგენს სტუდენტის მხარდაჭერას კომპლექსური დავალების შესასრულებლად. პორტფოლიოს წარმოება კი დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს.

შესაბამისად, მასვე ეკისრება ვალდებულება პორტფოლიოს სრულფასოვან შევსებაზე. სრულფასოვნება არ გულისხმობს დაწესებულების ვალდებულებას სტუდენტის წარმატებაზე. მისი უარყოფითი შეფასებაც კი სრულფასოვნად შევსებული პორტფოლიოთი უნდა დასტურდებოდეს.

ამისათვის დაწესებულებას მოუხდება გარკვეული ადმინისტრაციული ტიპის მექანიზმების ამოქმედება, როგორცაა პორტფოლიოს წარმოებაზე ზედამხედველობა, პორტფოლიოს წარმოებაში მასწავლებლების შესაძლებლობათა გაძლიერება და მონიტორინგი (პერსონალური მონაცემების დაცვის გათვალისწინებით), ელექტრონული პორტფოლიოსადმი ხელმისაწვდომობის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფა, ასევე რეგულაციების შემუშავება, რომელიც შეუფასებელი ან უარყოფითად შეფასებული სტუდენტის განმეორებით შეფასებას უზრუნველყოფს.

**10. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასების ორგანიზება, მის მიერ დადგენილი წესით.**

კანონმდებლობით, პროფესიულ სტუდენტს აქვს ისარგებლოს განმეორებითი შეფასების გამოყენების უფლებით. ინტეგრირებულ მოდულებში შეფასება არაა ერთჯერადი აქტი და როგორც ზემოთ (იხ. მე-2 პუნქტის კომენტარები) აღვნიშნეთ, რომელიმე კომპლექსურ დავალებას განმასაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის ფუნქცია ეკისრება. ამიტომაც განმეორებითი შეფასება უნდა გავიგოთ, როგორც ამ შემაჯამებელი კომპლექსური დავალების შესრულების საბოლოო შედეგების პრეზენტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველფერს აზრი აქვს, თუ სტუდენტს ყველა წინა კომპლექსური დავალება აქვს შესრულებული. სხვა შემთხვევაში მხოლოდ ბოლო კომპლექსური დავალების შეფასებით მოდულის დადასტურება მაინც ვერ მოხდება. განმეორებითი შეფასება კი არ გულისხმობს ყველა კომპლექსუ დავალებებზე ხელახლა მუშაობას, რაც ფაქტობრივად მოდულის თავიდან გავლას ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, განმეორებითი შეფასება ჩატარდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რაიმე მიზეზის გამო ვერ დაესწრო განმსაზღვრელ შეფასებას ან ვერ წარმოადგინა განმსაზღვრელი კომპლექსური დავალების შესრულების მტკიცებულება ან ეს მტკიცებულება (ნაშრომი) ვერ ადასტურებს, რომ სტუდენტი გავიდა შეფასების ტაქსონომიის მინიმუმ მიმართებით დონეზე. თუ რამდენჯერ მისცემს კოლეჯი სტუდენტს განმეორებითი გამოცდის შესაძლებლობით სარგებლობის უფლებას და რა პროცედურის გავლაა საჭირო ამ უფლებით სარგებლობისათვის, ეს კოლეჯის მიერ უნდა განისაზღვროს შესაბამისი რეგულაციით.

**11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, კომპლექსური დავალების შეფასებიდან დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადაში, პორტფოლიოში ასახოს სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები.**

**კომენტარი:** ეს პუნქტი ერთგვარ ადმინისტრაციულ საკითხებს არეგულირებს. ერთი მხრივ განსაზღვრავს მასწავლებლის ვალდებულებას, პორტფოლიოში შეიტანოს პროფესიული სტუდენტის პროგრესის ამსახველი მტკიცებულებები, სადაც წარმოდგენილია სტუდენტის მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები ქრონოლოგიურად და მასწავლებლის უკუკავშირი და შეფასება ტაქსონომიის გამოყენებით. მეორე მხრივ ავალდებულებს დაწესებულებას დაადგინოს მასწავლებლის მიერ პორტფოლიოში მტკიცებულებათა განთავსების გონივრული ვადები (მაგალითად, კომპლექსური დავალების შეფასებიდან რამდენიმე კალენდარული დღე). დაუშვებელია ყველა მტკიცებულების ატვირთვა დროის დიდი შუალედის შემდეგ. ეს

სისტემატურად უნდა ხორციელდებოდეს. რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია, რომ დაწესებულების შიდა რეგულაციის დაცვა გარე შემფასებლის (მაგალითად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის) მიერ სავალდებულო მონიტორინგს ექვემდებარება. ამიტომ დაწესებულებამ მასწავლებლების მიერ, დადგენილი ვადების დაცვის ადმინისტრირების მექანიზმებიც უნდა აამოქმედოს და საჭიროების შემთხვევაში მათი ტექნიკური დახმარებაც უზრუნველყოს.

**12. ინტეგრირებული ზოგადი მოდული დაძლეულად ჩაითვლება, თუ ინტეგრირებული ზოგადი მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი მიღწეულია.**

**კომენტარი:** ეს წარმოადგენს შეფასებისადმი დადგენილი ზოგადი მიდგომის კონსტატაციას. სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მოდული დაძლეულად მხოლოდ ყველა სწავლის შედეგის მიღწევის დადებითი შეფასების შემთხვევაში ჩაითვლება.

**13. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ მასთან დაკავშირებული ყველა კომპლექსური დავალება შეფასებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ და მათგან მინიმუმ ერთი შეფასებულია მიმართებით ან აბსტრაქტულ დონეზე.**

**კომენტარი:** წინამდებარე პუნქტი ადგენს მოდულში შემავალი თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის დადებითად შეფასების პირობას. სწავლის შედეგის მიღწევა ხორციელდება კომპლექსური დავალებების გამოყენებით. შესაბამისად კომპლექსური დავალებების შესრულებას აზრი არ აქვს თუ ის არ შეფასდება და პორტფოლიოში არ განთავსდება. კომპლექსური დავალებების შესრულება და განმავითარებელი შეფასება (უკუკავშირი პროგრესისათვის) გრძელდება მანამ, სანამ კომპლექსური დავალებებიდან, ერთის მეშვეობით მაინც, სწავლის შედეგის მიღწევა არ დადასტურდება ტაქსონომიის მეოთხე (მიმართებით) ან მეხუთე (აბსტრაქტულ) დონეზე.

**მუხლი 5. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება**

**1. პროგრამის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წინაპირობაა თითოეული ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევა.**

**კომენტარი:** წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულია უკვე არა კონკრეტული მასწავლებლის მიერ კონკრეტული მოდულის შეფასების საკითხები, არამედ მთლიანად, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების საკითხები, რაც თავისი ფუნქციური დატვირთვის საატესტატო გამოცდებს წააგავს, თუმცა, მისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სტუდენტისათვის გამოცდის ჩატარებას, არამედ უკვე განხორციელებული შეფასებების ვერიფიკაციას კომისიური წესით. ამიტომაც, ლოგიკურია, რომ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ვერ მოხდება ცალკეული მოდულების დადებითი შეფასების გარეშე, რაც ამ მოდულით, დადასტურების წინაპირობადაა განსაზღვრული.

**2. პორტფოლიოში წარმოდგენილი სტუდენტების მიღწევების ამსახველი მტკიცებულებების განხილვის და მისი ვერიფიკაციის საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების კომისია (შემდგომში - დადასტურების კომისია) ადგენს რამდენად მოხდა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:**

**ა) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება;**

**ბ) პროფესიული სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა ვერ დასტურდება.**

**კომენტარი:**

წინამდებარე პუნქტი უკვე არა კონკრეტული მოდულის ფარგლებში განხორციელებულ შეფასებას, არამედ სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას შეეხება, რისთვისაც სრულფასოვნად შევსებულ პორტფოლიოს მიიჩნევს აუცილებელ წინაპირობად.

პორტფოლიო, როგორც განმარტებაში აღინიშნა, მოიცავს სტუდენტის მიღწევების ამსახველ მასალებს, ორგანიზებულს კომპლექსური დავალებებისა და სასწავლო თემების მიხედვით. შესაბამისად, სრულფასოვნად შევსებულად ჩაითვლება პორტფოლიო, რომელიც მოიცავს მასალებს, ორგანიზებულს მოდულების, კომპლექსური დავალებების და სასწავლო თემების მიხედვით და მასში მოიპოვება სტუდენტის პროგრესის ამსახველი ყველა მტკიცებულება (შესრულებული და შეფასებული კომპლექსური დავალებები), მათ შორის ის კომპლექსური დავალებები, რომლებსაც აქვთ შემაჯამებელი დავალების ფუნქცია და ადასტურებს სწავლის ყველა შედეგის მიღწევას ტაქსონომიის მეოთხე (მიმართებით) ან მეხუთე (აბსტრაქტულ) დონეზე.

წინამდებარე პუნქტი ადგენს დადასტურების კომისიის მანდატს.

პირველი, კომისია იქმნება დაწესებულების მიერ და არა ცენტრალიზებულად, სისტემის დონეზე. კომისიის შექმნის თავისებურებებს შემდეგი მუხლი აზუსტებს;

მეორეც, კომისია არ ატარებს დამატებით გამოცდებს. ის მხოლოდ პორტფოლიოში არსებული მტკიცებულებების გამოყენებით ახდენს ვერიფიკაციას. ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ვერიფიკატორი (ამ შემთხვევაში კომისია) რწმუნდება, რომ შეფასების სისტემისადმი ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით წაყენებული მოთხოვნები დაცული იყო.

პუნქტი ასევე ადგენს კომისიის მიერ მისაღები გადაწყვეტილების სახეებს, რომელიც ასევე პროფესიულ განათლებაში დანერგილი არადიფერენცირებული შეფასების მაგალითია.

**3. პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევა დადასტურდება, თუ პორტფოლიოში წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი ყველა ინტეგრირებული ზოგადი მოდულის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

**კომენტარი:** ვერიფიკაცია შეფასების სისტემის სამივე ელემენტს ეხება: ინსტრუმენტს (ამ შემთხვევაში კომპლექსურ დავალებას), პროცესს და მტკიცებულებას. შესაბამისად, შესაძლოა სისტემის რომელიმე ელემენტის მიმართ კომისიას გაუჩნდეს კითხვები ან ჰქონდეს განმავითარებელი რეკომენდაციები. თუმცა, თუ პორტფოლიოში განთავსებული მტკიცებულებებით აშკარაა, რომ ყველა მოდულის ყველა სწავლის შედეგი მასწავლებლის მიერ ტაქსონომიის მეოთხე (მიმართებით) ან მეხუთე (აბსტრაქტულ) დონეზე ობიექტურადაა შეფასებული, სტუდენტის მიერ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების მიღწევის ფაქტი სახეზეა და კომისია იღებს დადებით გადაწყვეტილებას.

**4. დადასტურების კომისიის მიერ გაკეთებული არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება.**

**კომენტარი:** წინამდებარე მუხლი ადგენს სტუდენტის უფლებას, გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება. ნორმა ავალდებულებს დაწესებულებას, საკუთარი რეგულაციით უზრუნველყოს გასაჩივრების პროცედურა. რა თქმა უნდა ეს არ ართმევს სტუდენტს უფლებას გამოიყენოს გასაჩივრების კანონით დადგენილი გზა და მიმართოს სასამართლოსაც.

დაწესებულების რეგულაცია მინიმუმ უნდა ადგენდეს გასაჩივრების ფორმას და ვადებს, საჩივრის განმხილველ ორგანოს/პირს, საჩივრის განხილვის პროცედურას და ვადებს, გადაწყვეტილების გამოტანის ფორმას და საჩივრის ავტორის ინფორმირების წესს.

**მუხლი 6. დადასტურების კომისია**

**1. დადასტურების კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.**

**კომენტარი:** წინამდებარე მუხლით დადგენილია დადასტურების კომისიის შექმნის და ფუნქციონირების საკითხები. წინამდებარე პუნქტი დაწესებულებას ავალდებულებს შექმნას კომისიის საქმიანობის წესი, რომელიც ჩვეულებრივ განსაზღვრავს კომისიის დაკომპლექტების წესს და პრინციპებს, წევრთა მინიმალურ ან/და მაქსიმალურ რაოდენობას, საჭიროების შემთხვევაში მათი ჩანაცვლების პირობებს, უფლებამოსილების პერიოდს, მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების წესს, სამდივნოს შემადგენლობას, კომისიის მუშაობის ადმინისტრირების სხვა საკითხებს, ოქმის შედგენას, გამოქვეყნებას, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას და სხვა.

აღნიშნულ რეგულაციაზე დაყრდნობით, დაწესებულება ასევე ქმნის კომისიას. დაწესებულება უფლებამოსილია მის ტერიტორიულ ერთეულებში შექმნას ასევე განსხვავებული კომისიები.

**2. დაწესებულების მიერ დამტკიცებული კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.**

**კომენტარი:** მეორე პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ კომისიის შემადგენლობა და საქმიანობის წესი უნდა უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.



ამ ნორმას მივყავართ რამდენიმე ლოგიკურ დასკვნამდე:

1. კომისიაში, თუ ის გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით, უმრავლესობა არ უნდა იყოს დაწესებულების წარმომადგენელი;
2. კომისია არ უნდა იყოს უფლებამოსილი, თუ კონკრეტულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობას ქმნიან დაწესებულების წარმომადგენლები;
3. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს მოწვეული წევრი (ამიტომაც, სასურველია კომისიის/სხდომის თავმჯდომარე არ იყოს დაწესებულების წარმომადგენელი);
4. ამ რეგულაციის მიზნებისათვის დაწესებულების წარმომადგენელში უნდა მოიაზრებოდეს მასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირი, ასევე პირი, რომელიც არ არის მოცემულ მომენტში დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში, თუმცა ახორციელებს შესაფასებელი სტუდენტის სწავლებას.
5. კომისიის წევრს, კომისიის მანდატიდან გამომდინარე, უნდა გააჩნდეს აუცილებელი ცოდნა მისი ფუნქციების, ინტეგრირებული მოდულების მიზნის, სწავლების და შეფასების სპეციფიკის, ვერიფიკაციის პროცესის თაობაზე. რადგანაც მსგავსი ცოდნით აღჭურვილი პირები დეფიციტურია, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს კომისიის წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება (ვორქშოპი, ტრენინგი), სანამ კომისია მუშაობას შეუდგება. ასევე შესაძლებელია კომისიის უფლებამოსილების პერიოდი არ შემოიფარგლებოდეს მცირე ვადით (მაგალითად, 3 წლით დამტკიცდეს). ამასთან, კომისიის დაკომპლექტების და მუშაობის რეგულაცია დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს, თუმცა შესაძლოა თვით კომისია შეიქმნას პროგრამის განხორციელების ბოლო ეტაპზე.

რა თქმა უნდა ეს განმარტებები სარეკომენდაციოა და დაწესებულებას შეუძლია სხვა მექანიზმების გამოყენება, ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად.

**3. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დადასტურების კომისიის მიერ ვერიფიკაციის პროცესის სრულფასოვანი განხორციელების ხელშეწყობა.**

**კომენტარი:** წინამდებარე წესი ადგენს კომისიის დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, თუმცა ავალდებულებს დაწესებულებას ხელი შეუწყოს კომისიის მიერ ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გათვალისწინებით, კომისიის უკუკავშირი ადმინისტრაციულ პროცესებთან ან განხორციელებულ შეფასებებთან მიმართებით, ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა დაწესებულების ადმინისტრაციული პროცესების და ინტეგრირებული მოდულების სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის ინფორმირება**

**დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესის თაობაზე.**

**კომენტარი:** წინამდებარე მუხლით მოთხოვნილია შეფასების სისტემის შესაბამისობა გამჭვირვალობის კრიტერიუმთან: გ) შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის.

## **მუხლი 8. გარდამავალი დებულებები**

1. დაევალოს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საჭირო ელექტრონული სისტემის შექმნა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა. აღნიშნული ელექტრონული სისტემის შექმნამდე, დაწესებულება, პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს აწარმოებს მიერ მიერვე დადგენილი წესით.
2. ამ წესის ამოქმედებამდე დადასტურებული სწავლის შედეგები ჩაითვალოს კანონმდებლობის შესაბამისად დადასტურებულად.
3. პირებს, რომლებიც 2019 წლის 1-ელ მაისამდე ჩაირიცხნენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებული იყო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და კანონმდებლობის შესაბამისად დაასრულეს სწავლა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ფარგლებში დადასტურებული სწავლის შედეგები ჩაეთვალოთ კანონმდებლობის შესაბამისად დადასტურებულად.
4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, ამ წესის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე;
5. დაწესებულებებმა, რომლებთან მიმართებითაც მიმდინარეობს ავტორიზაციის ადმინისტრაციული წარმოება ან პირველად მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უფლების მოპოვებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყონ ამ წესის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.